



ერთიან ნაციონალურ მოძრაობას

ასლი: პოლიტიკური გაერთიანებას „ახალი მემარჯვენეები“

ასლი: ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიას

ასლი: ქრისტიან - დემოკრატიულ პარტიას

ასლი: ჩვენ თვითონ-ს

ასლი: საქართველოს დემოკრატიულ პარტიას

ასლი: მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების

ახალი თაობა – ახალი ინიციატივის

მის: ქ. თბილისი, ჯ.კახიძის ქ. №15

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, ახალი თაობა – ახალი ინიციატივა და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება 2010 წლის ნოემბრიდან აქტიურად ვაკეირდებოდით საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით გამართულ მოლაპარაკებების პროცესს, რომელიც საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ტექნიკური მხარდაჭერით მიმდინარეობდა. აღნიშნული პროცესი იყო გამჭვირვალე, რადგანაც მას დაუბრკოლებლად ესწრებოდა რიგი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც თავის მხრივ საზოგადოებას მოლაპარაკების პროცესის მინდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციას აწვდიდნენ.

როგორც ცნობილია, 2011 წლის 27 ივნისს ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ ხელი მოაწერა მმართველი პარტიის მიერ შემოთავაზებულ შეთანხმებას, რომელიც საარჩევნო

გარემოს გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს ეხება. მოგვიანებით აღნიშნულ შეთანხმებას კიდევ რამდენიმე პოლიტიკური პარტია შეუერთდა.

2011 წლის 8 ივლისს საქართველოს პარლამენტში გაიმართა საარსებო რეფორმაზე მომუშავე სარედაქციო ჯგუფის პირველი შეხვედრა. ჯგუფი განიხილავს თემებს, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე ასახვას აპოვნენ კანონმდებლობაში. ცნობილია, რომ სარედაქციო ჯგუფი მეორედ ორი კვირის შემდეგ შეიკრიბება. სარედაქციო ჯგუფის შეხვედრას არ დასწრებიან არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საზოგადოებისათვის ასევე უცნობია აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ფორმატი.

აღნიშნული პროცესის მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. ამასთან, პოლიტიკური პროცესების დემოკრატიულად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია მისი გამჭვირვალედ წარმართვა, რაც ხელს შეუწყობს ამომრჩეველთა ინფორმირებულობას და გაზრდის საზოგადოების ნდობის ხარისხს ამ პროცესის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავეთ სარედაქციო ჯგუფში მონაწილე ყველა პოლიტიკურ პარტიას, ხელი შეუწყოთ პროცესის გამჭვირვალობას, მასში არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას, ხილო მიღებულ გადაწყვეტილებებში ამომრჩეველთა ინტერესების ასახვას.

ჩვენ მზად ვართ კვლავაც აქტიურად ვითანამშრომლოთ პროცესში მონაწილე ყველა მხარესთან, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ საარსებო გარემოს გაუმჯობესებლად საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებაში.

პატივისცემით,

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

თამარ ჩუგოშვილი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი

კატერინე ხირაკიძე

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი

კატერინე კიგაური

ახალი თაობა – ახალი ინიციატივის თავმჯდომარე

მიხეილ დევედარიანი